გონების თეორიისა და ნარატიული უნარების თავისებურებები ნეიროტიპურ და ენობრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებში

მარიამ გამხიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

აბსტრაქტი

ნარატიული უნარები და გონების თეორია (ToM) ბავშვის ენობრივი და კოგნიტური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებულ ადაპტურ ქცევებზე და იმაზე, თუ როგორ აანალიზებს ბავშვი საკუთარ თავს თუ გარე სამყაროს. ბავშვებში, რომლებსაც ენობრივი განვითარების დარღვევის (DLD) დიაგნოზი აქვთ, ნარატიული უნარების არსებული სირთულეები ხშირად აკადემიურ თუ სოციალურ გამოწვევებს წამოჭრის. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ნარატიული უნარებისა და ToM-ის ურთიერთკავშირისა თუ ცალკეული მახასიათებლების შესწავლა ნეიროტიპური (TD) და ენობრივი განვითარების დარღვევის მქონე (DLD) 30 5-10 წლის ქართულენოვან ბავშვში (18-TD, 12-DLD). ნარატიული უნარები შეფასდა “Multilingual Assessment Instrument for Narratives” (MAIN)-ით, ხოლო გონების თეორიის შესაფასებლად გამოვიყენეთ Theory of Mind Task Battery (ToMTB). ერთი მხრივ, დამოუკიდებელმა ტ-ტესტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა დაადასტურა მოცემულ ორ ჯგუფში ნარატიული უნარების თვალსაზრისით - ნეიროტიპური განვითარების მქონე ბავშვებს უკეთესი ნარატიული უნარები აქვთ ენობრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებთან შედარებით, მაგრამ გონების თეორიის მხრივ ჯგუფებს შორის განსხვავება არ გამოვლინდა. ასევე გამოიკვეთა კორელაციური კავშირი ToM-სა და ნარატიული უნარების მაკროსტრუქტურულ კომპონენტს შორის და გამოვლინდა, რომ პრედიქტული ბუნების მქონე ToM ხსნის ნარატიული უნარების 45%-ს. მოცემული კვლევის შედეგები ადასტურებს ნარატიული უნარების არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ სოციალურ-კოგნიტურ ბუნებას და საფუძველს ამზადებს სამომავლო ინტერვენციებისთვის.

საკვანძო ცნებები: ენობრივი განვითარების დარღვევა (DLD), ნარატიული უნარები, გონების თეორია (ToM).

Abstract

Narrative skills and Theory of Mind (ToM) are important components of a child's linguistic and cognitive development, which have a significant impact on adaptive behaviors formed at an early age and on how a child analyzes themselves or the outside world. In children diagnosed with Developmental Language Disorder (DLD), the existing difficulties in narrative skills often pose academic or social challenges. The purpose of this study was to examine the interrelationship or individual characteristics of narrative skills and ToM in 30 Georgian-speaking children aged 5-10 (18-TD, 12-DLD). Narrative skills were assessed using the "Multilingual Assessment Instrument for Narratives" (MAIN), while the Theory of Mind Task Battery (ToMTB) was used to assess Theory of Mind. On one hand, an independent t-test, as expected, confirmed a statistically significant difference in terms of narrative skills between these two groups—children with neurotypical development have better narrative skills compared to children with developmental language disorder, but no difference between the groups was revealed in terms of Theory of Mind. Also, a correlational link was revealed between ToM and the macrostructural component of narrative skills, and it was found that ToM, which has a predictive nature, explains 45% of narrative skills. The results of this study confirm the not only linguistic but also the socio-cognitive nature of narrative skills and prepare the ground for future interventions.

Keywords: Developmental Language Disorder (DLD), Narrative Skills, Theory of Mind (ToM).